ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01220561572**
თარიღი: **25/02/2022**
პინი: **7909**

ადრესატი: ალექსანდრე ცხოვრებაშვილი
პირადი ნომერი: 12001018067
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, III მიკრო/რაიონი, II კვარტალი, კორპუსი 7, ბინა 23

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა, თქვენი 2022 წლის 24 თებერვლის №01220552848-67 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია სააგენტოს პოზიცია თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. N01.13.07.023.109) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის კორექტირების შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო არეალი განისაზღვრება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით ან/და **დაგეგმვაზე უფლებამოსილი შესაბამისი სამსახურის გადაწყვეტილებით შემდეგნაირად:**

ა) დაგეგმარებითი თვალსაზრისით მოწესრიგებული ტერიტორიის (მაგ.: კვარტალის) ფარგლებში გეგმარებითი ერთეულის გამოყოფით, თუ მიწის ნაკვეთ(ებ)ი წარმოადგენენ ასეთი ტერიტორიის ნაწილს;

ბ) ტერიტორიის დაგეგმარების ტექნიკურეკონომიკური დასაბუთების შესაბამისად, სივრცის ერთიანი გააზრების პრინციპის დაცვით, თუ მიწის ნაკვეთ(ებ)ი წარმოადგენს გაუნაშენიანებელი ტერიტორიის ნაწილს.

გ) იმგვარი გეგმარებითი ერთეულის (მაგ., კვარტალი ბუნებრივი საზღვრებით ან/და ქუჩებით გარშემორტყმული ტერიტორია) გამოყოფით, რომელიც უზრუნველყოფს ტერიტორიის მოწესრიგებას და ერთიან საქალაქო სისტემაში ინტეგრირებას და გამორიცხავს მოუწესრიგებელი ან/და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შეუსაბამო საკადასტრო ერთეულების დამოუკიდებლად წარმოშობას/დარჩენას.

განაშენიანების რეგულირების გეგმის ძირითად მიზანს წარმოადგენს ტერიტორიის მოწესრიგება, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს შესაძლებლად მიაჩნია თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის და მის მიმდებარედ (იხილეთ სააგენტოს მიერ განსაზღვრული არეალი) განვითარებაზე მსჯელობა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ფარგლებში. **თუმცა ვინაიდან აღნიშნული ტერიტორია მდებარეობს ქალაქის ისტორიულ, ძველი თბილისის ნაწილში აღნიშნული საკითხისთვის თავდაპირველად უნდა მიმართოთ ქ. თბილისის სსიპ არქიტექტურის სამსახურს, რომლის თანახმად საკითხი განხილულ უნდა იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე.**

ახალი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებასთან დაკავშირებით, ვინაიდან, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება წარმოადგენს განაშენიანების რეგულირების გეგმების დამტკიცების პროცედურის პირველ ეტაპს, რომლის დამტკიცება მიმდინარეობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით,

კონკრეტული სახითა და ფუნქციით ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით, გთხოვთ წარმოადგინოთ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საპროექტო არეალში შემავალი ყველა მესაკუთრის თანხმობა სათანადოდ დამოწმებული.

დამატებით განგიმარტავთ, რომ ამ ეტაპზე არ ხდება ტერიტორიის განვითარების კონცეფციაზე მსჯელობა, ხოლო სააგენტო კვლავ დაუბრუნდება აღნიშნული საკითხის განხილვას დეტალური დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ. აღნიშნულისათვის ელექტრონული განცხადება უნდა ატვირთოთ სააგენტოს ვებ გვერდზე https://apps.gov.ge/-ზე, შესაბამის ნომენკლატურაში, ,,განაშენიანების რეგულირების გეგმა“ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება“.

დანრთი: 1 (ერთი) ფურცელი

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

482500 482600 482700 482800

4618900 4618800

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი

საპროექტო არეალი

მასშტაბი: 1:1,000

0 0.0075 0.015 0.03 0.045 0.06 კმ

N

Coordinate System: WGS 1984 UTM Zone 38N
EPSG: 32638